1939/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეთორმეტე

პიონერი

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქ. განსახკომის ერთთვიური ჟურნალი

იანვარი 1939 წ. № 1

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქცია მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3—02—61.

შინაარსი

გვ.

1. სანდრო ჟღენტი,—ახალი წლის შეხვედრა (ლექსი) 1
2. პურის სამელნეები,—(წერილი) 2
3. იოსებ ნონეშვილი,—ვალერი ჩკალოვი (ლექსი) 4
4. ნინო ნაკაშიძე,—ულუ და თეთ (მოთხრობა) 5
5. მაყვალა მრევლიშვილი,—თხილამურებით (ლექსი) 11
6. ქეთო მღვიმელი,—ზამთარი (ლექსი) 11
7. დიმიტრი ტატიშვილი,—პატარა რიეგო (მოთხრობა) 12
8. ლავრენტი ჯიჯინაძე,— შიო მღვიმელი (მოგონება) 14
9. მოსწავლეთა შემოქმედება,—ორი ლექსი 15
10. ა. ებრალიძე,—ჭადრაკის ეტიუდის შესახებ 16
11. ლ. კახიანი,—თევზექალა (ნარკვევი) . . . . . . გარეკანის მე-3 გვ.
12. გასართობი . . . . გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვ.—ი. ქოქიაშვილისა, დონისა და ა. სავინის მიერ

ყდის მხატვრობა—ა. სავინისა

პასუხისმგებელი რედაქტორი—ელ. აგლაძე პასუხისმგებელი მდივანი—ნ. სირბილაძე

მთავლიტი 4734 შეკვ. № 1275 ტირაჟი 14450 სახკომსაბჭოს სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68

ეროვნული ბიბლიოთეკა

140/1939 ი

სანდრო ქლენფი

ახალი წლის შეხვედრა

ტყეში ვიყავ, მახარებდა
ჩიტუნების ჟრიამული,
მახარებდა ყვავილები
დილის ცვარით დანამული.

დილის ცვარით დანამული
ბრჭყვიალებდა მწვანე კალთა,
ვშრიალებდი, ვშრიალებდი
და ტოტებიც გამეზარდა.

თან მესმოდა ნაკადულის
ლიკლიკი და თითქოს ნანა,
იმ ნაძვებში ცოტა იქო
სილამაზით ჩემისთანა.

მიმშვენებდა თოვლი-ტოტებს,
შეფიფქული—გედის ფრთები...
ჩემთან ერთად კეკლუცობდა
დათოვლილი ტყე და მთები.

მაგონდება თოვლიანი
ნაძვნარები ვიწრო ხევში...
იცით, როგორ დამენანა,
ბარში კაცს რომ წამოვყევი!

წამოვედი მთიდან ბარში
ახალი წლის შესახვედრად;
ვმორცხვობდი და თქვენთან მოსვლა,
თითქმის ველარ გამებედა.

ისიც გზაში მითხრეს კიდევ,
რომ ბავშვებიც ხარობთ გულით...
მოვდიოდი და ფიქრებით
მეშლებოდა სიყვარული.

მომიყვანეს, რარიგ მომრთეს,
კვლავ მოგხიბლავთ ჩემი ნახვა,
საახალწლო სიხარული
მე ვიგრძენი სწორედ ახლა:

დიდ დარბაზში გამაბრწყინეს,
ჩემი თავი ველარ ვიცან,
თან ამავსეს საჩუქრებით,
გეფიცებით მშობელ მიწას.

შემომხედეთ, რა კოხტა ვარ,
რა ყოფილა კაცის ხელი...
თქვენც იხარეთ, მეც მახარეთ,
დამავიწყეთ ტყე და ველი.

იცქრიალეთ, მალხაზებო,
აისრულეთ თქვენი ნატვრა,
იმღერეთ და აშრიალეთ
მოლაჟღაჟე ჩემი კალთა.

იცქრიალეთ, მალხაზებო,
გულსაც ლხენა დაებედა;
თქვენც იხარეთ, მეც მახარეთ,
და ვიხაროთ ყველამ ერთად,

3528

ჰურის სამელუნეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაშივე აოცებდა ყველას არა მარტო თავისი ღრმა ცოდნით, ნათელი გონებით, პირდაპირობით, მიზნის სიცხადით, დიდი შორსმჭვრეტელობით, არამედ იმითაც, რომ მას ჰქონდა იშვიათი უნარი ხელიდან გასხლტომოდა მზვერავებს.

ყოველთვის, რევოლუციური მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე, უთვალთვალებდნენ ლენინს ჯაშუშები, დასდევდნენ უკან, ზომავდნენ მის ნაბიჯებს, მის მოქმედებას. ვლადიმერ ილიას-ძემ კარგად იცოდა ეს და მოხერხებულად უბნევდა გზა-კვალს ჯაშუშებს. ხშირად ისე მიეფარებოდა თვალს, რომ მზვერავი მოულოდნელობისაგან სახტად დარჩებოდა და იმედგაცრუებული გაბრუნდებოდა უკან.

ბევრჯერ მომხდარა ასეთი ამბავიც:

აი, დაგეშილმა ჯაშუშმა სადღაც ხალხში დაინახა ლენინი. ჯაშუში აღტაცებულია, უზომოდ გახარებული: მორჩა, იგი დააპატიმრებს მეფის წინააღმდეგ მებრძოლს და დიდ ჩინსაც მიიღებს! აღელვებული მისდევს ვლადიმერ ილიასძეს, მიჰყვება ფეხდაფეხ, ეძებს შესაფერის მომენტს თავდასასხმელად...

აი, ლენინმა ქუჩაში შეუხვია. მალე სახლის კარებიც გააღო და დერეფანში შევიდა. ჯაშუში ახლა უფრო აღტაცებულია. იგი ფიქრობს, რომ მსხვერპლი ველარსად გაექცევა, და დამშვიდებით იცდის ქუჩაში. ცოტა ხნის შემდეგ კარების ჭრიალიც მოისმის. თითქოს სანატრელი წუთია! ჯაშუში თვალებს აჭყეტს, მის გულს ბაგაბუგი გააქვს. მაგრამ... გამოდის კაცი, რომელიც გარეგნულად ლენინს არა ჰგავს. სხვა ტანისამოსი აცვია, სხვაგვარად იყურება, სხვაგვარად დადის.

— ჯანდაბას შენი თავი, —ჩაილაპარაკებს გულმოსული ჯაშუში, —მე ულიანოვს ვუდარაჯებ, შენ კი...

დაგეშილმა მზვერავმა არ იცის, თუ იგი ლენინი იყო. ამიტომ კვლავ იცდის ქუჩაში.

გადის დრო. ლენინი მაინც არ ჩანს...

ღამდება. ლენინი მაინც არ ჩანს...

გარეთ სიცივეა. ყინავს, ცივი ქარი წივის ყურებთან. ლამის გული გაუსკდეს ჯაშუშს ამდენი ლოდინისაგან, ლამის სისხლიც გაეყინოს ძარღვებში.

— ეჰ, გამექცა წყეული! —ბრაზიანად ჩაილაპარაკებს იგი და იმედდაწურული ტოვებს ქუჩას.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი კი ამხანაგებთან არის, მუშების წრეში, მუშაობს გატაცებით...

ახალგაზრდა ლენინს პიტერში ყოველ ფეხის ნაბიჯზე დასდევდნენ ჯაშუშები. მაგრამ, მიუხედავად ასეთი გაშმაგებული ზვერვისა, მან მაინც შესძლო იქ უდიდესი მუშაობის გაშლა. 1895 წლის გაზაფხულზე ლენინი ისე გაემგზავრა საზღვარგარეთ, რომ მეფის ძაღლებმა ვერაფერი გაიგეს. მხოლოდ გვიან შენიშნეს „დიდი სახელმწიფო დამნაშავის“ გაპარვა. კვლავ დაიწყეს ლოდინი და ფიქრი იმაზე, თუ როდის ჩაიგდებდნენ ხელში „საშიშ ადამიანს“...

ლენინმა კი შემოიარა ბერლინი, შვეიცარია, მოაწესრიგა სხვადასხვა საქმე და გადაწყვიტა იმავე წელს დაბრუნება რუსეთში. იქიდან თან უნდა წამოეღო არალეგალური ლიტერატურა. როგორ მოქცეულიყო?

ფიქრობდა ლენინი ამის შესახებ და მალე გამონახა საშუალება. ჩემოდანს ორი ძირი გაუკეთა, მის კედლებს შორის კი ჩააწყო წიგნები და მასალები.



ლენინი გორკაში 1922 წ.

ორი ამგვარი ჩემოდნით დატვირთული გამოემგზავრა იგი რუსეთისაკენ. გზაში ბევრი საფრთხე შეხვდა. ყოველ წამს შეიძლებოდა ჩავარდნა, მაგრამ შორსმჭვრეტელი ლენინი ადვილად აღწევდა თავს დაბრკოლებებს. ის სრულიად უვნებლად ჩამოვიდა უცხოეთიდან.

მოდარაჯე ძაღლებმა, ჯაშუშებმა მალე გაიგეს ვლადიმერ ილიას-ძის დაბრუნება. მეორე დღეს ერთ-ერთი მათგანი მივიდა სამისამართო მაგიდაში და გაცხარებით დაუწყო სინჯვა მისამართებს. გადაშალა დავთარი „უ“-ზე, ჩააყოლა თითი გვარებს და...თავშეუკავებელი ტრაბახობით წამოიძახა: „აი, აი, დიდი სახელმწიფო დამნაშავე ულიანოვი, რომლის ძმა წინათ ჩამოახრჩვეს, ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან, ჩამოვიდა და ახლა ჩვენი ხელიდან ველარ წავა“.

მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, და ვლადიმერ ილიას-ძეც დააპატიმრეს. ეს იყო 1895 წლის დეკემბერში.

ლენინის მისვლამ მთელი საპატიმრო გამოაფხიზლა. თითქმის ყოველ საკანში ღებულობდნენ ლენინის წერილებს, რომლებიც სავსე იყო გამამხნევებელი სიტყვებით, კითხულობდნენ მათ და იმსჭვალებოდნენ რევოლუციური ბრძოლის ჩაუქრობელი სურვილით. ციხის მოხელეები გაკვირვებულნი იყვნენ იმით, თუ რატომ შეიცვალა ასე ერთბაშად პატიმართა სულიერი მდგომარეობა.

რას წარმოიდგენდნენ ისინი, თუ ლენინის წერილებს ასეთი გავლენა ექნებოდა, ან რას წარმოიდგენდნენ ისინი, თუ ლენინი რაიმეს წერდა საკანში. ვლადიმერ ილიას-ძე კი შეუსვენებლივ წერდა და წერდა, კითხულობდა და წერდა. საპატიმროში დაწერა ლენინმა წიგნები, პროკლამაციები და აგრეთვე პროგრამის პროექტი პარტიის პირველი ყრილობისათვის.

ლენინის ეს მუშაობა ვერ შეამჩნიეს ციხის მოხელეებმა. რატომ? ვლადიმერ ილიას-ძე მეტად ფრთხილად და მოხერხებულად მოქმედებდა. საპატიმროში პირველი დღეებიდანვე შემოიღო რძით წერა. ეს ასე ხდებოდა:

გარედან ლენინი ბევრ წიგნს ღებულობდა. მაშინვე ჩაუჯდებოდა წიგნებს და კითხულობდა გატაცებით და სწრაფად, როგორც მას სჩვეოდა. მაგრამ ზოგიერთს სულაც არ კითხულობდა, იგი სხვა საქმისათვის სჭირდებოდა, სჭირდებოდა წერილების დასაწერად. დიახ, ლენინი დაბეჭდილი წიგნის ფურცლებზე წერდა, წერდა სტრიქონებს შორის, წერდა ისე, რომ მას ჯაშუშები ვერ შეამჩნევდნენ,—წერდა რძით.

ძალიან ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ ლენინს გადაუცია წიგნები სხვადასხვა მისამართით. ციხის მოხელეები გადაშლიდნენ წიგნებს, ქექავდნენ ყოველ ფურცელს, მაგრამ ვერაფერს პოულობდნენ.— რა პატიოსანი პატიმარი ყოფილა,— ფიქრობდნენ ისინი,—მხოლოდ უწყინარ ტექნიკურ და წმინდა მეცნიერულ წიგნებს კითხულობს, არაფერს საწინააღმდეგოს არა წერსო.

პატიმრები კი კარგად არჩევდნენ რძის სტრიქონებს სტამბის სტრიქონებს შორის და სინათლესთან გატაცებით კითხულობდნენ გამამხნევებელ სიტყვებს.

მაგრამ მალე მათ ზვერვა დაუწყეს. მდგომარეობა რთულდებოდა, მოსალოდნელი იყო ჩავარდნა. ეს აცნობეს ვლადიმერ ილიას-ძეს. ლენინმა მათ მიუთითა, რომ დაეჭრათ ქაღალდები ზოლებად, საღამოს ვახშმობის დროს ცხელ ჩაიში ჩაეშვათ ნაჭრები, და რძის ნაწერიც სულ ადვილად გასარჩევი გახდებოდა.

ასეთი წესი მთელ საპატიმროში გავრცელდა. საღამოს პატიმრები აადუღებდნენ ჩაის, შიგ ჩაჭყრიდნენ ქაღალდის ზოლებს, და წერილიც გამოჩნდებოდა.

მაგრამ საფრთხე მაინც ახლოვდებოდა. ვლადიმერ ილიას-ძე ბევრჯერ კინაღამ წაისწრეს წერის დროს.

ჩაფიქრდა ლენინი და აი რა მოიგონა: პურიდან გააკეთა რძის პატარა სამელნეები, სამელნეში რძე ჩაასხა და კვლავ განაგრძო მუშაობა.

საერთო სიჩუმეში ფანჯარამ გაიჯახუნა. „ვიღაც მოდის“—გაიფიქრა ილიჩმა და სამელნე პირში გადაუძახა.

საკანში მართლაც შევიდა ციხის მოხელე. იგი დააცქერდა ლენინს, რომელსაც წინ სამედიცინო წიგნი ჰქონდა გადაშლილი.

— თქვენ მედიცინას სწავლობთ?

— დიახ.

— კარგია.

და კმაყოფილი მოხელე სხვა საკნისაკენ გაემართა. ლენინმა კი მეორე სამელნე ამოიღო, შიგ რძე ჩაასხა და სამედიცინო წიგნების სტრიქონებს შორის პარტიის პირველი ყრილობის პროექტის წინადადებები გააგრძელა.

ასე ხდებოდა საპატიმროში ყოველდღე. ლენინი ძალიან ბევრს წერდა, უგზავნიდა წერილებს ამხანაგებს, თან წერილებში ოხუნჯობით დასძენდა:

„დღეს ექვსი სამელნე შევჭამე“

„დღეს რვა სამელნე შევჭამე“.

1897 წლის 26 თებერვალს ლენინი გამოუშვეს საპატიმროდან, მშრომელი ხალხის დიდმა ბელადმა ციხიდან რძით ნაწერი მეტად ძვირფასი წერილები გამოიტანა.



ვალერი ჩკალოვი

მან არ იცოდა შიში და ღელვა,
ბევრჯერ გაჰკვეთა ღრუბლების ბადე,
გადაიქროლა წარბშეუხრელად
გზა პოლუსიდან ამერიკამდე.

მან არ იცოდა შიში და ღელვა,
დასერა სივრცე ორბისფრთიანმა,
მაგრამ ჩამოსწყდა ცას, როგორც ელვა,
და ხალხის გული შეაჟღრიალა.

გლოვა რად უნდა, რად უნდა ცრემლი...
ო, თვალებს ცრემლი არ გაეკაროს!
ის არ მომკვდარა... სამშობლო ვრცელი
კვლავ სიყვარულით ახსენებს ჩკალოვს.

ის არ მომკვდარა... უცნაურ ამბად
ხალხს სიყვარული გადააქსოვა,
საუკუნეებს ეყოფა განძად
დიდი მფრინავის ნათელი ხსოვნა.

ის ხალხმა იცნო საყვარელ გმირად
და ხალხის გულში მზესავით ბრწყინავს,
მეტეორივით ცას მოწყვეტილმა
კრემლის კედელში იპოვა ბინა.

გლოვა რად უნდა, რად უნდა ცრემლი...
ო, თვალებს ცრემლი არ გაეკაროს!
ის არ მომკვდარა... სამშობლო ვრცელი
კვლავ სიყვარულით ახსენებს ჩკალოვს.

იოსებ ნონეშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ნაკაშიძე

ულუ და თეთ

დილით ადრე გაეღვიძა ბას, მაშინვე გამოხტა, გადააგორა ლოდი და მღვიმიდან გარეთ გამოხტა.

მზეს უკვე ამოეყარა სხივები კონებად და თვითონაც ლაღად და მხიარულად ამოდიოდა ცის ტატნობზე.

ბამ აღტაცებით გაუწია ორივე ხელი მზეს, შეხტა და შესძახა აღტაცებით:

— ეჰე—ჰე—ჰეი, ამოდი, ამოდი, მნათობო!

ხმაურზე გამოხტნენ ულუ და თეთ, გამოვიდნენ ნენ და ბეც; ყველამ გაუწოდა ხელი მზეს, ყველა აჰყვა ბას ხმას და ფრინველების ჟრიამულთან ერთად გაისმა მზის ქებათა-ქება. დიდხანს გადადიოდა მთაგორებზე მათი მადლიერი სიმღერა. სიმღერასთან ერთად ცეკვავდა იმათი ფეხები, მათ სიმღერას ეხმაურებოდა ჩხერიჩხერას ქუხილი და შხეფების შხუილი.

— ეჰე - ჰე—ჰე—ჰეი, ამოდი, მნათობო, შენ გელით ყველა,
შენ გვახარებ ყველას, ფრთოსანს და უფრთოს,
წყაროსა და მინდვრებს, მთებსა და ტყეებს;
შემოდი, მნათობო, შემოდი ჩემ მღვიმეში,
გაანათე და გაათბე ჩემი მღვიმე.
ოჰო, ჰო, მზეო, შემოდი, შემოდი ჩემ მღვიმეში.
მე დაგსვამ შენ შავი დათვის, დიდი დათვის ტყავზე,
მე მოგართმევ შენ ირმის, ლამაზი ირმის ტვინს,
შენ გვერდით დავსვამ ნენს და ჩემ შვილებს ულუს და თეთს,
შენს პირდაპირ დავჯდებით ჩვენ, მე და ბებერი ბე,
უხუცესი ჩემ მღვიმეში...

ოჰ, რარიგ გვიყვარხარ, მზეო ნათელო!— მღეროდნენ ცეკვით ყველანი და მათ ბრინჯაოსფერ ტანზე ცეკვავდა და ციმციმებდა ამომავალი მზის სხივები.

მზე ამოცურდა და გააბრწყინა ირგვლივ გორები, შეიხედა მღვიმეში, ჩაიხედა ქვევით ჩხერიჩხერას ხევში, შეანათა ტყეში...

გაჩერდა ბა, გაჩერდნენ ყველანი.

— აბა, ახლა ვჭამოთ,—დაიძახა ბამ და ერთ წუთში გამოიტანა მღვიმიდან ნანადირევი. ყველას უჭრიდა ქვის დანით დიდრონ წითელ ნაჭრებს და იქავე, მღვიმის პირას, ქვებზე ჩამომსხდარნი გლეჯდნენ თეთრი კბილებით და მადიანად ხრამახრუშით ჭამდნენ. ირმის თავი ფრთხილად გატეხა და ტვინი ბეს მიართვა.

— მე?—თქვა ბემ,—ტვინს ყოველთვის პა ჭამდა იქ.

— აქ შენ გეკუთვნის, ბე, აქ შენ ხარ უხუცესი.

ამ დროს გაისმა დიდი მუუს „მუუ" და მღვიმიდან გამოეხმაურა პატარა მუუ. ძროხა დილით გათენებამდის მიდიოდა საბალახოდ და მზის ამოსვლისას მოდიოდა თავის პატარასთან.

თეთი წამოხტა, გამოიყვანა ხბო და შეუსვა ჯიქანში.

ხბოს ფეხი ურჩებოდა, უკვე დგებოდა, მაგრამ ჯერ სიარული კიდევ არ შეეძლო, გამალებით წოვდა დედის რძეს თქაფათქუფით, სიამოვნებით და კუდის ქნევით. დედაც სიამოვნებით ლოკავდა და ალამაზებდა მის ჭრელ ზურგსა და კისერს.

რძე ისევ ისე ბევრი ჰქონდა ცურში და ისევ ისე მოწანწკარებდა თეთრად, როგორც უწინ. თეთი მაძღარი იყო, მაგრამ მაინც მოწოვა გემრიელი რძე.

ჭამის შემდეგ ყველანი წავიდნენ წყაროზე წყლის დასალევად. მწკრივად მიდიოდნენ ბილიკზე. წინ ბა, შემდეგ ნენ, ულუ, თეთ და ბებერი ბე თავისი გრძელი ჯოხით.

როდესაც დაბრუნდნენ, ნენ მივიდა ძროხასთან და კარგახანს შესცქეროდა ხბოს ჭამას.

— ნენ, გინდა რძე? აბა სინჯე, ნენ, რა გემრიელია!

ნენ უცებ მიტრიალდა, აიღო ბეს გადაგდებული, ტვინამოჭმული ირმის თავის ქალა, და უთხრა თეთს:

— აი, თეთ, აქ ჩაასხი რძე.

თეთმა შეუშვირა ძვალი ჯიქანს და სავსე, თბილი, ქაფქაფა რძე მიაწოდა დედას. ნენმა დალია და გაიცინა.

— იცი, თეთ, ამით წყლის დალევაც შეიძლება. ამას ნუ გადავაგდებთ.

— ოოჰ, ნენ, შენ მართალს ამბობ, შევინახოთ.

მღვიმეში შეშა გამოილია, და ბა, ულუ და თეთ წავიდნენ მოსატანად. ბლომად მოიტანეს ფიჩხი, ხმელი ჯირკვები და დააგროვეს მღვიმეში. ბემ მაშინვე გააჩაღა ცეცხლი და ნაკვერჩხლებზე დააწყვეს ნანადირევის ხორცის ნაჭრები, თუთქავდნენ და ცხლად ჭამდნენ. ძვლებს იქავე ყრიდნენ და როდესაც ისე გაძღნენ, რომ მეტი ჭამა აღარ შეეძლოთ, ისევ წავიდნენ წყაროზე, ისევ ისე მწკრივად, რიგრიგობით, ერთიმეორის შემდეგ. დალიეს და იქვე ჩირგვებში გაგორდნენ და დაიძინეს. მხოლოდ ულუსა და თეთს არ ეძინებოდათ.

— ულუ, — უთხრა თეთმა ძმას, — წავიდეთ, მე ისეთ რამეს გაჩვენებ...

— რას, თეთ?

— აი ჩვენი მთის იქითა ფერდობზე ხეზე არის.

— ხეზე არის? რა არის?

— არ ვიცი. ჩვენ ძველ მღვიმესთან არ იყო.

— ცოცხალია?

— არ ვიცი. არა მგონია. მე კარგახანს ვუყურე, არ ინძრევა.

— წავიდეთ.

და ორივენი ხელიხელჩაკიდებულნი გაიქცნენ. აირბინეს მღვიმის ზემოთ დავაკებაზე, იქედან გორაზე და გადაიხედეს მეორე მხარეს. ოჰ, რა დიდი ტყეები და მინდვრები გაშლილიყო ქვევით სულ შორს, შორს, და კიდევ იქით, უფრო შორს დიდ მინდორში მიიკლაკნებოდა მზისფერი დიდი მდინარე.

— ოო, თეთ, — თქვა ულუმ და გაჩერდა აღტაცებული, — მე მინდა იმ მზის მდინარესთან წავიდე.

— არა, ულუ, ჯერ აქ ჩავირბინოთ ძირს, ფერდობზე, იქ არის ხეზე, — და თეთ ეწეოდა ხელით ძმას, რომელსაც დიდხანს ვერ მოეშორებინა თვალი სანახაობისათვის.

ორივენი გაიქცნენ, ჩაირბინეს ფერდობი და შეხედეს ხეს. ხეზე ასულიყო ველური ვენახი და ახლა შეყურსული იყო მწიფე, წითელი ყურძნით.

— ხილია, თქვა ულუმ. ერთ წუთს აირბინეს მათ ხეზე, ეცნენ, მოგლიჯეს მტევნები და ფრთხილად ჩაიდვეს პირში. მათ იცოდნენ, რომ ზოგი ხილი მწარე, მჟავე და უგემური იყო, მაგრამ ეს ტკბილი და გემრიელი გამოდგა.

— რა კარგია! წავიდეთ, ბა, ნენ და ბე მოვიყვანოთ.

— ჩვენ თვითონ წავულოთ ბას, ნენსა და ბეს. მაგრამ როგორ წაეღოთ? მათ არ იცოდნენ და დიდი ჯაფა და მოსაზრება დასჭირდათ, რომ შოლტის კავზე ჩამოეცვათ რამდენიმე მტევანი და წაეღოთ.

როდესაც მღვიმეში დაბრუნდნენ, უკვე საღამო იყო. ყველანი ისხდნენ და ისევ ნანადირევს შეექცეოდნენ. ბავშვების მოტანილმა ხილმა ყველაზე სხვადასხვა შთაბეჭდილება მოახდინა. ბეს შეხედვაც არ უნდოდა. ნენ ეჭვის თვალით უყურებდა, ბას გაეხარდა:

— ეს გემრიელი ხილია. მე მიჭამია. როდესაც ხეები კვდებიან და თეთრი ცივი საბურველი იბურებიან, მაშინ ესეც კვდება და თეთრით [illegible]

სიამოვნებით ჭამა მან და ნენსაც და შემდეგ ბესაც შეაჭამა.

— მე თვითონ წავალ და მოვიტან, — თქვა მან და მეორე დღეს მართლაც წავიდა, ულუ და თეთიც თან წაიყვანა. მოკრიფა ყურძენი, გაიხადა მგლის ტყავის სამოსი, თვითონ ტიტველი წამოვიდა და მგლის ტყავით ყურძენი წამოიღო.

ასე სიამოვნებით გაატარეს მათ რამდენიმე დღე და ბოლოს გაუთავდათ ნანადირევი. მთელი დღე გადაყრილ ძვლებს აგროვებდნენ და ხრავდნენ, ყურძენიც მოიტანეს. ერთი ორი ყურცქვიტა და ზაზუნაც დაიჭირეს, ბემაც რაღაც ძირები ამოთხარა, რძეც დალიეს, მაგრამ მაინც არ იყვნენ მაძღრები და კმაყოფილი. საღამოს ბამ გადაწყვიტა სანადიროდ წასვლა და უთხრა ულუს:

— ულუ, სანადიროდ უნდა წავიდე, ნენ არ მოდის. შენ წამოდი, დაეხმარე ბას.

— ოო, ბა, რა მიხარია! — შეხტა ულუ და დაიქნია შოლტი.

— ჩვენ წავალთ დიდი მდინარის ჭალებში: იქ დიდრონი ნადირია, ლამაზი ჭიხვინები, — თქვა ბამ სიცილით და მიუბრუნდა თეთს:

— შენ, თეთ, წამოხვალ?

თეთ იდგა და ხბოსაკენ იყურებოდა.

— შენ გინდა ჯერ პატარა მუ დავკლათ და შევჭამოთ?

თეთ სწრაფად მოტრიალდა მამისაკენ.

— აბა, თუ შენ მუს დაკვლას მოინდომებ, მე წავიყვან პატარა მუს და მარტო ვიცხოვრებ ტყეში. დიდი მუც ჩვენთან წამოვა.

— არა, თეთ, არ წახვიდე ჩვენგან. იყოს მუ მღვიმეში. მე და ულუ მოვიტანთ ნანადირევს, ბევრ ნანადირევს.

მან გამოიტანა ქვის ცულები, გასინჯა, დაათვალიერა, ამოარჩია საუკეთესო ორი, გალესა, კიდევ უფრო მაგრად მოუჭირა ტარს თასმები და მოამზადა. განთიადზე გააღვიძა ულუ. მათ თან ცულები და კეტები წაიღეს და გამალებით წავიდნენ. ავიდნენ მღვიმის ზემოთ დიდ გორაზე და დაეშვნენ ძირს, შორს მინდორში, ოქროსფერ დიდ მდინარე ტკას ჭალებისაკენ. ჩაუარეს ქოჩორა მთებს, გაიარეს შრიალა ტყე და გავიდნენ ტყის ნაპირას მწვანე მინდორში, სადაც ხმაურით მიიგრაგნებოდა მდინარე ტკა. ამოარჩიეს ტყის ნაპირას მყუდრო ადგილი და ჩაუსაფრდნენ ჭიხვინას.

* * *

გათენდა თუ არა დილა, თეთ ადგა. ბა და ულუ უკვე წასულიყვნენ. ძროხა ნელა ეძახდა თავის პატარას, და თეთმა გამოუყვანა. თვითონაც გამოწოვა რძე და ნენსაც და ბესაც დაალევინა ირმის თავის ქალაში ჩამონადენი. ბეს უკვე გაეჩაღებინა ცეცხლი და იჯდა, ნენ კი ნელა დგებოდა. თეთმა შემოიყვანა ხბო, დააწვინა და უთხრა დედას:

— ნენ, მე წავალ, ყურცქვიტას დავიჭერ და მოვიტან.

და გაიქცა ყურცქვიტას დასაჭერად. ბევრი ირბინა მან ალმადალმა ჯაგებში, ჩხერიჩხერის ნაპირებიც კი შემოირბინა და ორი ყურცქვიტა დაიჭირა. თეთ მხიარულად მორბოდა შინისაკენ, მხიარულად შეირბინა მან დატვირთულმა მღვიმეში და გაკვირვებული კი გაჩერდა: პაწაწინა ბავშვი იწვა ტყავზე და ტიროდა: „უა, უა“.

— თეთ, აი შენ პატარა ძმა.

თეთ შეხტა და ცეკვა დაიწყო:

— თეთს ჰყავს კიდევ ერთი ძმა.

პატარა ძმა, ლამაზი ძმა.

თეთს უყვარს პატარა ძმა. მღეროდა თეთ. მერე დაიხარა და მოუსვა ცხვირზე ცხვირი. და როდესაც ბემ გაატყავა ყურცქვიტა და დაანაყრა ყველა, ადგნენ და წავიდნენ წყლის დასალევად წყაროზე. ნენმა ბავშვიც თან წაიყვანა. თეთი ხტუნვა-ხტუნვით მირბოდა წინ, მაგრამ წყაროსთან დაიცადა, სანამ ბემ და ნენმა დალიეს.

ბა გადმოტყორცნა ჭიხვინამ...

— ახლა პატარა უნდა ვაბანაოთ,—თქვა დედამ და რამდენიმეჯერ გაავლო წყაროს ანკარა წყალში პატარა. შემდეგ შეახვია ტყავში, იქავე ჩაჯდა და აჭამა ძუძუ, და როდესაც ბავშვი დაწყნარდა, წამოიყვანა მღვიმეში.

მზე უკვე ჩავიდა. ბა და ულუ არ ჩანდნენ. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ მუ არ მოვიდა. მუ მზის ჩასვლისას ყოველთვის მოდიოდა და დღეს დაბნელდა კიდევაც, ცა ვარსკვლავებით მოიჭედა, პატარა მუც ეძახდა მშიერი, მაგრამ დიდი მუ არ ჩანდა და არა. დიდი ხანია მღვიმის კარებზე ლოდის მიგორების დრო იყო. მაგრამ თეთს კიდევ იმედი ჰქონდა, რომ მუ, თეთრი დიდი მუ ნელნელა ამოვიდოდა ალმართზე. ჯერ გამოჩნდებოდა რქები, მერე თავი, მერე ორი წინა ფეხი და შემდეგ მთლად ამოვიდოდა და დაუძახებდა თავის პატარას „მუუ“.

— უკვე ლოდის მიგორების დროა,—თქვა ბემ,—

უკვე ავი მხეცი ეძებს საჭმელს და არ შემოგვივარდეს.

სადღაც სივრცეში გაისმა მგლის საშინელი ყმუილი და მას ბანი მისცა მეორე მხეცმა.

— მივაგოროთ, ბე, მივაგოროთ,—წარმოთქვა შეშინებულმა თეთმა და ლოდი მიაგორეს.

დაწვნენ, თეთს დიდხანს არ ეძინა. ხბო ნელნელა ეძახდა თავის დედას „მუუ“, ბე ცვრინავდა, ნენს თბილად ეძინა ცეცხლის პირას ტყავებში პატარასთან ერთად.

შორს სადღაც ისევ ისმოდა ავი მხეცის საზარელი ყმუილი.

* * *

კარგახანს იყვნენ ჩასაფრებული ბა და ულუ, და ბოლოს გამოჩნდა სამი ჭიხვინა. უმცროსი წინ მორბოდა, მას მოჰყვებოდა უფროსი და ბოლოს ყველაზე დიდი, მსუქანი და ლამაზი, მზისფერი ჭიხვინა. ბამ მოიმარჯვა ცული და ეცა ფაფარში. ჭიხვინამ დაძაბა კისერი, გაიწია და გაიქცა. ბა თვალის დახამხამების უმალ შეახტა მას ზურგზე, გადააჯდა და

— ახლა პატარა უნდა ვაბანაოთ,—თქვა დედამ და რამდენიმეჯერ გაავლო წყაროს ანკარა წყალში პატარა. შემდეგ შეახვია ტყავში, იქავე ჩაჯდა და აჭამა ძუძუ, და როდესაც ბავშვი დაწყნარდა, წამოიყვანა მღვიმეში.

მზე უკვე ჩავიდა. ბა და ულუ არ ჩანდნენ. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ მუ არ მოვიდა. მუ მზის ჩასვლისას ყოველთვის მოდიოდა და დღეს დაბნელდა კიდევაც, ცა ვარსკვლავებით მოიჭედა, პატარა მუც ეძახდა მშიერი, მაგრამ დიდი მუ არ ჩანდა და არა. დიდი ხანია მღვიმის კარებზე ლოდის მიგორების დრო იყო. მაგრამ თეთს კიდევ იმედი ჰქონდა, რომ მუ, თეთრი დიდი მუ ნელნელა ამოვიდოდა ალმართზე. ჯერ გამოჩნდებოდა რქები, მერე თავი, მერე ორი წინა ფეხი და შემდეგ მთლად ამოვიდოდა და დაუძახებდა თავის პატარას „მუუ“.

— უკვე ლოდის მიგორების დროა,—თქვა ბემ,—

დასჭყივლა „ოჰო, ჰო, ჰოო,“ და ჭიხვინა მიქროდა ქარივით ჭალაში, ისე სწრაფად, რომ ულუ ველარ არჩევდა ცხენის ზურგზე ბას. ულუ თვითონაც გამოუდგა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, და უცებ დაინახა, რომ ცხენი შედგა ყალყზე და ცხენის თავს ზემოთ ქანაობდა ბას შეკრული თმის ქოჩორი. ბამ ასწია ცული და მოუქნია თავში დასარტყმელად, ულუ ერთ წუთს შეჩერდა აღტაცებული.

— ეჰე, ჰე, ჰე, ჰეი, ბა!—შესძახა ულუმ სიხარულით, დარწმუნებულმა, რომ ბამ გაიმარჯვა, მაგრამ რაღაც მოხდა საშინელი და მოულოდნელი: ბა გადმოტყორცნა ჭიხვინამ, მიაყარა უკანა წიხლები და... დატოვა ბა მიწაზე... თვითონ კი გაიქცა ჭიხვინით დიდი მდინარე ტკასაკენ.

როდესაც ულუმ მიირბინა, ბა უკვე უსულოდ ეგდო. სახე და გულის ფიცარი ჩამტვრეული ჰქონდა. არ იცოდა ულუმ, დაუბრუნდებოდა ბას საყვარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სახე თუ ქიხვინამ წაიღო თან სამუდამოდ ბას ვაჟკაცობასთან ერთად მისი მხიარული სახე და გულის ფიცარი.

დიდხანს იჯდა ულუ მამის გვერდით. ცხენებმა ჭიხვინით გაურბინეს ახლოს და საიდანაც მოვიდნენ, იმავე ბილიკით შევიდნენ ტყეში. მაგრამ ულუს არც კი დაუნახავს ისინი. საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ყველაფერი დაჩუმდა ირგვლივ. მას არ ესმოდა არც ტყის შრიალი, არც ტკას ჩქრიალი, რომელიც ხმაურით მიიგრაგნებოდა თავის ფართე კალაპოტში. თითქოს მზეც დაბნელდა და ველარ ამჩნევდა მისი სხივებით გაშუქებულ მინდვრებს.

ბა დუმდა.

ულუმ არ იცოდა რამდენ ხანს იჯდა ასე.

— ბა!—დაუძახა მან ბოლოს,—ბა! შენ აქ უნდა დარჩე, ბა? მე მარტო უნდა წავიდე მღვიმეში, ბა? ოო, ბა, მაშ მე გაგიკეთებ შენს სახლს, იყავი აქ, სანამ სახე და ვაჟკაცობა არ დაგიბრუნდება.

და მან მოიტანა ხის შტოები, გვიმრა და ქვები, მიწა და სილა, ჯერ შემოუწყო ქვები, ზემოდან დააფარა გვიმრა და ფოთლიანი შტოები და დააყარა ქვები, სილა და მიწა. შემდეგ კიდევ დიდი ქვები დაუწყო ზემოდან, კიდევ მიწა დააყარა და დაათვალიერა ყოველის მხრიდან. ბას ადგილას ახლა ქვისა და მიწის გორაკი იყო. დაიღალა ულუ, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. გაჩერდა და ჩაჯდა ისევ. უცებ სადღაც გაისმა ავი მხეცის საზარელი ყმუილი. ულუ შეკრთა, წამოხტა. უკვე ღამე იყო, ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო და დიდი თეთრი მთვარე გამოჰკიდებოდა ცის კაბადონს. ტკაც ახლა მთვარისფრად ელავდა მის თეთრ შუქზე.

მხეცის ყმუილი გამეორდა. ულუ სრულიად გამოერკვა, ეცა მახლობელ ხეს, სწრაფად ავიდა ზედ. იჯდა ხეზე და უყურებდა, როგორ გამოვიდა ორი მგელი ძუნძულით, როგორ შემოურბინეს გარს მამის სახლს და შემდეგ გაჩერდნენ სწორედ იმ ხის ქვეშ, რომელზედაც ულუ იჯდა, მაგრამ ულუმ იცოდა, რომ ავი მხეცები ხეზე ვერ ავიდოდნენ და ვერაფერს დააკლებდნენ ვერც მას და ვერც ბას.

* *
*

დილით ისევ ბემ და თეთმა გადააგორეს ლოდი. მზე ისევ ისე ბრწყინვალედ და დიდებულად ამოდიოდა ქოჩორატყიანი მთის გადაღმიდან, მაგრამ დღეს არავინ არ მისალმებია მას მღვიმის წინ. არც ბა, არც ულუ, არც მუ არ მოვიდნენ გუშინ საღამოს და არც ამ დილით ჩანდნენ ჯერჯერობით. ხბო ნელნელა ჭამდა მწვანე ბალახს და აღარ ბღაოდა.

— მე წავალ, მუს მოვნახავ,—თქვა თეთმა და გავიდა, მაგრამ გავიდა თუ არა, მოისმა მისი ყვირილი.—ულუ მოდის, ულუ!

ნენ და ბე სწრაფად გამოვიდნენ გარეთ.

— ულუ, ბა? ბა სად არის?—დაუძახა ნენმა შორიდანვე.

მაგრამ ულუ მოდიოდა უხმოდ, აუჩქარებლად.

ყველანი მოუთმენლად ელოდნენ. ჩუმად ამოვიდა ულუ, ჩუმად დააგდო ცული მიწაზე.

— ულუ, ბა?

— ულუ, ნანადირევი?

— ბა არ არის. ნანადირევიც არ არის.

— სად არის? — შეშინდა ნენ.

— ჭიხვინამ წაართვა ვაჟკაცობა, სახე, გული, სიმღერა... ბა არასოდეს აღარ მოვა...

— უუ-უუ-უუ!—დაიყვირა ნენმა და წაიშინა თავში ხელი,—უუ-უუ, ბა არასოდეს აღარ მოვა!

— ოოჰ!—დაიყვირა ბემ. იმანაც წაიშინა თავში ხელი,—ოოჰ, ვერასოდეს ველარ იხილავს მას ბებერი ბეს თვალები!

— როგორ? რას ამბობ? ჩემი ბა არ მოვა? რა თქვი? სტყუი! მივარდა მას თეთ აწეული ხელებით და ეცა მხრებში. მაგრამ უცებ შეჩერდა.

— ოოჰ, ულუ! შენ დიდი ხარ, მე ველარ გცემ... შენ...

ულუ მართლა იდგა, როგორც უკვე დიდი, გამოცდილი მონადირე, და უამბობდა მათ, როგორ გაემართნენ ბა და ის, როგორ გაიარეს შრიალა ტყე, როგორ ჩაუსაფრდნენ ჭიხვინებს, როგორ დაეწია ბა ერთ ჭიხვინას, უფრო დიდს, უფრო ლამაზს, როგორ ეცა მზისფერ ფაფარში... რა ლამაზი იყო ბა, რა ვაჟკაცი... როგორ თრთოდა შეშინებული ჭიხვინა, როდესაც ბა შეახტა და იჯდა მის ზურგზე გამარჯვებული... მაგრამ ჭიხვინა ყალყზე შედგა. ბას შავი თმა ცეკვავდა ცხენის თავს ზემოდან და უცებ... თვითონ არ ვიცი როგორ... ბა გადმოვარდა.

— ოოჰ, მერე, როგორ ინადიროს უშენოდ ნენმა, ვაჟკაცო!

— ვააი, ბებერმა ბემ რა ქნას უშენოდ!

— ოოი, ულუ! რა არის ყალყზე შედგომა? მე არასოდეს არ მინახავს ჭიხვინა, მე მინდა ვნახო ბა, გამარჯვებული რომ იჯდა მზისფერ ჭიხვინას ზურგზე.

შესავალთან იდგა მაღალი, თმაგაბურძგნული, შავწვერა კაცი.

— ოოჰ, მეც მინდა ვნახო.

ოოჰ, მეც მინდა ვნახო!—იმეორებდნენ ბე და ნენ.

— უღუ დაჩუმდა... ჩაჯდა იქვე თავჩაღუნული, თვალებჩამქრალი, მაგრამ ერთბაშად, თითქოს რაღაც მოაგონდაო, სწრაფად წამოხტა, თვალებმა გაუელვეს.

— მე გაჩვენებთ თქვენ ბას, ვაჟკაცს ჭიხვინას ზურგზე...—თქვა უღუმ, მოტრიალდა და გაიქცა მღვიმისაკენ.

ყველანი გაჰყვნენ მას. უღუმ მიირბინა თავის კუთხეში და კარგახანს ეძებდა თავის შენახულ ბეჭის ძვლებში საუკეთესოს. ბოლოს გამოიტანა ერთი, არ მოეწონა და გადააგდო. ფიჩხის ცეცხლი ანათებდა მთლად მღვიმეს, თეთრი ქვის კედლები იყო გლუვი და ნათელი, ჯერ კიდევ გაუჭვარტლავი. უღუმ შეხედა, გაიცინა, მივიდა კედელთან და...

არავის არ ახსოვს, რამდენ ხანს ხატავდა უღუ. ყველანი ჩუმად, უსიტყვოდ მისჩერებოდნენ ხმაამოუღებლად.

კედელზე გამოისახა ყალყზე შემდგარი ვეებერთელა ცხენი და მის ზურგზე გამარჯვებული ბა, ხელში ცულმოღერებული. მისი მგლის ტყავის სამოსი კუდი გავაზე სცემდა ცხენს.

უღუმ მიირბინა და დადგა დედასთან და მხოლოდ ახლა შეამჩნია პატარა, რომელიც დედის კალთაში იწვა, და გაკვირვებულმა დაუწყო ცქერა.

— ჰო, ბა! ჩემო ბა! — შეჰკივლა თეთმა და გადახტა ნახატისაკენ. ნენმა ასწია ბავშვი, მიიყვანა ნახატთან, დაანახვა მას.

— ბა, ვაჟკაცო, ვერასოდეს ვერ ნახავ შენს პატარა ბიჭს... ბა, ვაჟკაცო, ვერასოდეს ველარ წამოვა შენი ნენ შენთან სანადიროდ!

— ვაჰი, ბა, ბეჭერი ბე ვერასოდეს ვერ ნახავს შენს სახეს, ვერ გაიგონებს შენს ხმას!

ყველანი იდგნენ ნახატის წინ და მოთქმით ქანაობდნენ ერთმანეთის გვერდით.

თეთი დაიხარა და მოუსვა ცხვირი ბას ფეხს და უცებ გაისმა მისი კივილი:

— ჰოპ!

ყველამ გაიხედა მღვიმის შესავლისაკენ, საითაც იყურებოდა თეთი. შესავალში იდგა მაღალი, თმაგაბურძგნული შავწვერა კაცი ცულით ხელში და თვალებს აბრიალებდა.

— ჰოპ!

— ჰოპ!

— ჰოპ!

გაისმა ერთხმად ყველას თავზარდაცემული შეძახება და ყველანი გაქვავებულნი გაჩერდნენ ერთ ადგილას.

— ჰოპ, ჰოპ, ჰოპ! მოვიდა ჰოპ! აჰა, სად ყოფილხართ! მოვიდა ჰოპ და აღარ წავა აქედან! — ყვირილით შემოვარდა შიგნით გაბურძგნული კაცი და მივარდა ნენს, რომელიც პირქვე დაემხო და გადაეფარა პატარას.

— ჰოპ გაჩვენებს შენ სეირს! — მან ჩაჰკიდა ხელი თმებში ნენს და წამოზიდა. — თქვენ ასე კარგად მოწყობილხართ აქ და მე კი არ წამომიყვანა იმ... ოჰ, მე მარტო იმის მეშინოდა....

უღუ და თეთ მაღლა სერზე ბუჩქს ამოფარებოდნენ და უყურებდნენ, როგორ გამოიყვანა ხმა...

უცებ მოიხედა და ნახატი კი დაინახა კედელზე შეშინდა, აცახცახდა და პირქვე დავარდა მიწაზე, მაგრამ სწრაფად გამოიხედა ჩუმად და წამოხტა.

— ჰოპ, ხედავ, მოსულა. აკი მოკლა ის ჭიხვინამ... ჰოპ! მე მას ვაჩვენებ, მე მას მეორეჯერ მოვკლავ... მე მას მეორედ წავართმევ ვაჟკაცობას! — და მოიმარჯვა ხელში ცული, გადახტა ნახატისაკენ...

— არ მოჰკლა, ჰოპ!

— არ მოჰკლა, ჰოპ! — გაისმა ყველას ყვირილი.

მაგრამ ჰოპმა მოიმარჯვა ხელში ცული და ის იყო უნდა დაეკრა ბასთვის სახეში, რომ თეთი შეახტა, ეცა ხელში კბილებით და უკბინა. ჰოპს ცული გაუვარდა ხელიდან, მაგრამ არ დაიბნა, მეორე ხელი ჩაჰკიდა თეთს თმაში და ის იყო უნდა დაენარცხებინა დედამიწაზე, რომ დაიშხივლა ჰაერში უღუს შოლტმა და მოხვდა ჰოპს სახეში. გამწარებულმა ჰოპმა ორივე ხელი იტაცა სახეში, უღუ და თეთ კი გავარდნენ გარეთ.

— ჰოპ, აი ამას მოვკლავ! — დასჭყივლა მან და გადახტა ნენისაკენ, მაგრამ ზე გადაეღობა წინიდან.

— ჰოპ ვერ გაბედავს ამას!

ჰოპ ერთ·წუთს შეჩერდა.

— ჰოპ ბებერსაც მოჰკლავს!

— ჰოპ ვერ გაბედავს ბებრის მოკვლას, ბებერი უხუცესია ამ მღვიმეში.

— ჰოპ, უხუცესიც მე ვარ აქ და ყველა და ყველაფერი ჩემია! იქით! — დაიყვირა მან და გაქანდა ნენისაკენ.

ულუ და თეთ ადგნენ და ნელნელა წავიდნენ.

ნენმა იდროვა, დასვა ბავშვი ტყავზე, წამოავლო ჰოპის ცულს ხელი, გადაირბინა მეორე მხარეს და მოიმარჯვა ხელში ცული.

— ვუა, უა! — გაისმა ბავშვის ტირილი.

— ჰოპ, ეს ვილა არის? ჰოპ, ამას კი მოვერევი! — მან დაავლო ხელი ბავშვს და ასწია, რომ დაენარცხებინა დედამიწაზე.

— ჰოპ, არ მოჰკლა, — დაიყვირა ნენმა, გააგდო ცული და მივარდა ბავშვს. ჰოპმა მისცა ბავშვი და აიღო ცული.

— ჰოპ, აჰა, გყავდეს, მხოლოდ იმ ავ სულებს, გოკოსა და ბიჭს, მოვკლავ. მამის მაგიერ იმათ ხორცს დავგლეჯ კბილებით, იმათ სისხლს დავლევ... მე ვიპოვი იმათ! ჰოპ, სად მიდიხარ! — დასჭყივლა მან და ისევ ჩაავლო ხელები პატარას, რომელიც ნენს მიჰყავდა და მიდიოდა მღვიმიდან გარეთ. — შენ და ბებერი დარჩით აქ, თორემ ახლავე მოვკლავ შენ პატარას. ჰოპ, აქ ყველაფერი ჩემია, ჩემი ნებაა. მე მიყვარს მღვიმეში ცეცხლი, შენ არ გააქრობ ცეცხლს.

ნენ დარჩა მღვიმეში.

— ჰოპ, მე მშია. დააყარეთ ფიჩხი ცეცხლზე.

— არაფერი არ გვაქვს, — თქვა ზემ და დააყარა ფიჩხი.

— ჰოპ, ეს ხბო... — დასჭყივლა მან, სტაცა ხბოს ხელი და გაათრია გარეთ.

ულუ და ნენ მაღლა სერზე ბუჩქს ამოფარებოდნენ და უყურებდნენ, როგორ გამოიყვანა ხბო, წააგდებინა თავი ქვის ცულით, როგორ მივარდა მის კისერს, დალია თბილი სისხლი, მერე სწრაფად გაატყავა და შეიტანა მღვიმეში.

— ჰოპ, ჰოპ, — იძახდა ის — აბა, ჭამეთ, ჭამეთ თქვენც, ჰოპ, არა უშავს, ხვალ ნანადირევს მოვიტან... ჰოპ, ჰოპ, მე ისინი უნდა ვიპოვო. ის გოგო და ბიჭი... თქვენ არავინ გაბედოთ აქედან წასვლა, აქ ყველა და ყველაფერი ჩემია. მე მიყვარს მღვიმეში ცეცხლი... ჰოპ, ჰოპ, რატომ არ ჭამთ, ჭამეთ...

დიდხანს იყვნენ ბუჩქის ძირას მიკუნჭული ულუ და თეთ.

— რა ვქნათ? — თქვა თეთმა.

— მოვკლათ!

— ვინ, ჰოპ? ჩვენ?

— მაშ წავიდეთ აქედან, თორემ ის თვითონ მოგვკლავს ჩვენ.

ულუ და ნენ ადგნენ და ნელნელა წავიდნენ. სად? თვითონაც არ იცოდნენ.

(გაგრძელება იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალა მრევლიშვილი

ოქტომბერშიბიუ

დათოვლილ ტყეში არ ისმის ჩქამი,
ფიფქები დაგვხვდნენ მძიმე თათებით,
უფრო გაზრდილან უმთვარო ღამით
თეთრნაბდიანი გოლიათები!
გზა აღარა ჩანს, ჩვენვე დავსერავთ,
მოდით, რიგრიგად დავეშვათ თავქვე,
ბრჭყვიალა ფარჩას რომ დავშლით
ცერად,
გამოგვაყოლებს წამოშლილ ნამქერს...

იკოტრიალე?
გაგბერტყავთ, მოდი,
თორემ ლოლუებს დაგყინავს ხელად,
გუშინ სიცივეს ვემალებოდით,
დღეს საცურაოდ ვეძახით ყველას!
რა ჟრიამული ავტეხეთ ტყეში,
დაწმენდილ ჰაერს ხარბადა ვსუნთქავთ,
თითქოს დავლიეთ
ფოთლების პეშვით
მთის ნაკადული ცივი და სუფთა.

ზამთარი

ბარდნის, ბარდნის და ფიფქები ფრთებგადაშლილ პეპლებს ჰგვანან,
ძირს ბუჩქები წყნარად სხედან, ხეები კი ფეხზე დგანან.
ქალაქს, მთელი ღამის ნათევს, არ ჰსურს თოვლთან რომ იცინოს,
უნდა თვალი მოატყუოს, ცოტა ხანი მიიძინოს.

*

ჯერ ადრეა ყინავს, ცივა, მზე ოქროს თმებს დაბლა ხრის და
მზესაც სცივა და თოვლიან მთას ეკვრება ზურგის მხრიდან.
თვალებს ახელს, ხუჭავს, ნაბავს და ამოდის ნებანება,
მზის წითელი ფართო ზოლი წყნეთს სარტყელად ეფინება.

*

ცოტა ქვევით მთის თეთრ კალთას, თავს რომ იქებს თითქმის ცამდე
დღეს სტუმრები მოუვიდნენ, ალბათ, ასე ორმოცამდე.
სრიალებენ, თხილამურებს ხან მაღლა და ხან კი ქვევით
აქროლებენ ფაფუკ თოვლზე სიხარულის ცეცხლის ფრქვევით.

*

და წუთის წინ ჩუმი, მუნჯი, იღიმება ახლა მხარე,
ქვევით წყალი ხევს აწყდება სიხარულით მოხარხარე.
უცინიან პიონერებს, სიზარმაცეს ყველა ტოვებს,
ალბათ, მუხაც თუ ვარჯიშობს, ძირს რომ ზნიქავს გაშლილ რტოებს.

*

ბავშვებს უყვართ ზამთრის სპორტი, თოვლს ელიან სიხარულით,
გუნდის სროლა, ციგაობა, ფაფუკ თოვლზე სიარული,
ფიფქის ჭერა ხელის გულით, თოვლის მზეზე ბზინვა, ელვა,
და უფრო კი თხილამურით ზამთრის ქურქის გადაქელვა.

ქეთო მღვიმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა რიეგო

1.

ის გაგიჟებულივით შეიჭრა ოთახში და დაემხო დედის სულმობრძავ სხეულს, რომელსაც მკერდიდან ამოსჩქეფდა ცხელი სისხლი.

—დედა!! დედიკო! — გაისმა სასოწარკვეთილი ხმა, და უკანასკნელად ჩაეკონა გასისხლიანებულ ძუძუებში, რომელთა შორისაც მრავალი ნეტარი წუთი განეცადა. დედა კიდევ ატრიალებდა თვალებს, მაგრამ ერთი სანუგეშო სიტყვის თქმაც აღარ შეეძლო. ის შეიყვანეს ჯალათმა ფაშისტებმა. ოთახში დასაკითხად და რომ ვერაფერი ცნობა ვერ მიიღეს მისგან, გაბრაზებულებმა გაგმირეს ტყვიით და წავიდნენ.

—დედა! დედიკო! — უკანასკნელად ჩაეკრა ბავშვი დედის უსიცოცხლო სხეულს და აქვითინდა. — რატომ მეც შენთან ერთად არ მომკლეს იმ ჯალათებმა.... მაგრამ არა, არა! — წამოვარდა გიჟივით ზეზე და ეცა კარებს.

—მე წავალ მამასთან! მოვნახავ მამიკოს! მოვუყვები ყველაფერს, და ის გადაუხდის ჯალათებს სამაგიეროს! მშვიდობით, დედიკო! მშვიდობით! — და გამოვარდა გარეთ, გადაკეტა კარი და გაქრა ქუჩაში...

2.

მირბის პატარა. ირგვლივ კაკანებენ ტყვიამფრქვევები, გრიალებენ ცაში ფოლადის ფრინველები, რომლებიც ცეცხლის ბურთებით უმასპინძლდებიან ქვეშეთს.

—ტრახ... ტრახ... ბუჰ... ბუჰ...—გრიალებენ ქვემეხები, თითქოს მოძახილს ეუბნებიან ტყვია-



მფრქვევებს და ამთავრებენ მათ დაწყებულ მეჯლისს. რიეგომ შეისვენა. დაუკვირდა, რომ გზა არ არეოდა, გაერჩია თავისიანები მტრისაგან და შემდეგ ისევ განაგრძო გზა სირბილით.

—მშვიდობით, დედა! მე მამას ვნახავ! —წამოიძახა რიეგომ და ისევ გაკურცხლა.

—„ვივა“, „ვივა“. — იძახიან რესპუბლიკელები.

—ტრახ... ტრახ,—მოისმის უკანასკნელი გაბრძოლება ფაშისტებისა, მაგრამ რესპუბლიკელებს მათი ცეცხლი, მათი უკანასკნელი ხელის გაქნევა ვეღარ აშინებს და ერთად მოიწევენ წინ. ორ ცეცხლს შუა კი პატარა მიძვრება; მას თითქოს მისჩვევიან ტყვიები, ისე უვლიან გვერდს; რამდენმა ტყვიამ გაიწივლა მის ყურთან, რამდენმა შემოფლეთილი ტანსაცმელი გაუხვრიტა, ერთმა ქუდშიც კი გაუარა, მაგრამ უვნებლად მიიწევს წინ.

შემოტრიალდა და გადახედა ქალაქს, სადაც დამტვრეული სახლების მეტი აღარაფერი მოჩანდა. ფაშისტი ოფიცრები დანგრეულ ქუჩაში ვისაც კი ნახავდნენ, გამოსადეგი მიჰყავდათ, მხოლოდ უვარგისებს და წინააღმდეგობის გამწევთ ხვრეტდნენ. გადაავლო თვალი უკან დარჩენილ ადგილებს და გაკურცხლა; მირბის მოფარებით, ხან დაწოლილი, ხან ზეზე... მას ყოველ წუთში ელანდება მამა, საყვარელი მამიკო, ჰაერს ხარბად სუნთქავს დაქანცული და გარბის.

ვერც კი შეამჩნია, თუ რამდენი გამოიარა, ცოტა კიდევ შეისვენა კედელს ამოფარებულმა. ტყვიის აღარ ეშინია, გარშემო კლდის ლოდები ფარავს; შეისვენა, ბოლოს შემოტრიალდა და ისევ გაქცევა დააპირა, მაგრამ ვიღაცამ შეაჩერა.

—შესდექ, პატარავ! საით მირბიხარ!?

შეკრთა, როგორც მთის ლაღი შველი მონადირის შეხვედრისას, გადახტა გვერდზე და მოაგონდა მოკლული დედა. აცახცახდა იმ შიშით, რომ დაიჭერენ ფაშისტები, ვერასოდეს ვეღარ ნახავს საყვარელ მამას, ვერ უამბობს ამბავს, და მოინდომა გაქცევა, მაგრამ მებრძოლის დაკოჟრებული ხელები მაგრად მოედო კისერზე და შეაჩერა.

—საით მირბიხარ, პატარავ?!

—მე მამას ვეძებ, ტერუელიდან გამოვიქეცი, დედა მომიკლეს და ეხლა მამა უნდა ვნახო.

—სად არის მამაშენი?!

—რა ჰქვია მამაშენს?!

—მანგანდ ამბოუ.

—მანგანდ ამბოუ?!

—აი ყოჩაღ, ბიჭიკო! წამოდი ჩქარა, მე გიჩვენებ მამაშენს! ოხ, პატარა რიეგო, რამდენჯერმე უთქვამს მამაშენს შენზე, ის ძველ რიეგოს ჰგავსო. შენც მამისთანა ვაჟკაცი ყოფილხარ, თორემ აქამდე რამ მოგიყვანა, — ჩაჰკიდა მკლავში თავისი დაკო-

ერილი ხელი და გაიტაცა. სერი გადაირბინეს, და მებრძოლი შეჩერდა.

—ახლა გაიქეც, ბიჭიკო, ხალხს ხომ ხედავ, მათთან მიდი და იქ იპოვი მამაშენს. მე არ მცალია, აქ ვდგავარ საგუშაგოზე.

რიეგო გაიქცა აღფრთოვანებული, რომ მიზანს აღწევდა, სიტყვას აასრულებდა და მოკლული დედის სისხლს აიღებდა.

რიეგო რამდენადაც უახლოვდებოდა ჯგუფს, იმდენად თითქოს უფრო ესმოდა ნაცნობი ხმა. გული უცემდა, უცემდა იმ იმედით, რომ მამასთან მიაღწევდა და ადვილად გადაუხდიდა სისხლისმსმელ ფაშისტებს სამაგიეროს.

—მამა, მამიკო! — მოასწრო დაძახება და ჩაიკეცა. გზაზე მას დაღალვა არ უგრძვნია, მაგრამ ერთბაშად მოწყდა მუხლებში. მებრძოლები შემოტრიალდნენ.

—ჩემო ბიჭუნავ, ჩემო შვილო! — ძლიერი ხმით დაფარა არემარე ერთმა ახოვანმა შავხუჭუჭთმიანმა კაცმა, რომელიც დაჭრილი ვეფხვივით გადახტა ბავშვისაკენ და ჩაიხუტა გულში...

3.

რიეგომ მამის მკლავებზე გამოახილა თვალი და წამოიძახა:

—მამა... მამიკო! დედა, დედა მოჰკლეს იმ ავაზაკებმა, მე შენთან წამოვედი, რომ სამაგიერო გადავუხადო იმ ძაღლებს...—უკანასკნელი სიტყვები ველარ დაასრულა და ტირილი დაიწყო.

—ჩემო ვაჟკაცო, ჩემო ბიჭუნავ, ამას მე დიდი ხანია ველოდი. აღარც შენ მეგონე ცოცხალი, მაგრამ აწი უფრო გაასკეცებით ვიომებ, რადგან ჩემი შვილი ასეთი ვაჟკაცია, მე გადავუხდი იმ ძაღლებს შენი დედის სისხლს, მე შევებმები თუნდაც მარტოდმარტო, იმ იმედით, რომ მათი ჭაჭანება აღარ დარჩება ჩვენი რესპუბლიკის მიწაწყალზე. მე თუ მოვკვდები, იმედი მაქვს ჩემი შვილი და მის გვერდში მდგომი რესპუბლიკური მილიონი ახალგაზრდობა შეეწირება ამ წმინდა საქმეს და იომებს გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

რიეგომ მამას ცრემლი შენიშნა, ცხარე ცრემლი. მაგრამ მამამ ცრემლი ჩქარა მოიწმინდა.

4.

განთავისუფლებულ ქალაქში რიეგო მამასთან ხელჩაკიდებული მიიჩქაროდა იმ პატარა ლამაზი სახლისაკენ, რომელშიაც დატოვა დედის გაციებული გვამი. მიდიოდნენ იმ პატარა სახლისაკენ, რომელსაც თითქოს მზის ჩამოსაბნელებლად გვერდით ედგა მრავალსართულიანი სახლი, რომელიც მართლაც მზის შუქს არ უშვებდა მათ აივანზე, მაგრამ მაინც ბედნიერად ატარებდა მასში დღეებს პატარა რიეგო.

აი, მიაღწიეს კიდეც, მაგრამ სადღა არის შენობა, სადღა არის ის პატარა კერა, რომელშიაც პირველად აძგერდა მისი პატარა გული, მას ვეებერთელა სახლის კედელი დასცემია და მიწასთან გაუსწორებია... ვეებერთელა ლოდთა გროვა დამდგარა მათი სახლის ადგილას...

შეჩერდნენ... ისე მაგრად ჩაეჭიდათ ერთმანეთისათვის ხელები, თითქოს ერთმანეთს შეჰხორცებოდნენ, რომ ერთად განეცადათ ეს საერთო უბედურება. დიდხანს, დიდხანს დუმდნენ ისე, თითქოს ორივენი გაქვავებულიყვნენ, და ბოლოს ისეთი ხმით დაარღვია ვაჟკაცმა მყუდროება, რომ მეხის გრგვინვა ეგონებოდა კაცს.

—შენ შენი სიკვდილით იხსენ, ჩემო ძვირფასო, სიკვდილისაგან ჩვენი ბიჭუნა, და ფიცს ვდებ შენი გასრესილი, ნაწამები სხეულის წინაშე, რომ მეც ჩემი სიკვდილით დავიხსნი მთელი ესპანეთის ახალგაზრდობას, ჩემი სიკვდილით დავიხსნი მთელ ესპანეთს! წამოდი, შვილო! შენ უმწეო ხარ ჯერ აქ! უბრალოდ გაისრისები სადმე! გაჰყე იმ ახალ ჯგუფს, რომელიც მიისწრაფის ახალი მხარისაკენ, რათა თავი დააღწიო ამ ჯალათებს. მე კი ფიცს ვდებ იმ ძვირფასი ადამიანის გვამის წინაშე, რომლის სიკვდილმაც გადაგარჩინა შენ ამ ლოდებში გასრესას, რომ მანამ ვიბრძოლებ, სანამ მტერს არ გავსრესთ. თუ მეც დავეცი ბრძოლის ველზე, შემოიჭერ შენს სამშობლოში და ჩემ მაგიერ ააფრიალე თავისუფლების წითელი დროშა. წადი, შვილო, წადი! ტირილით ვერ ვუშველით საქმეს. მშვიდობით, ძვირფასო, წამებულო ადამიანო! იქნებ დიდი მოვალეობის შესასრულებლად გადაარჩინე შენი სიკვდილით ერთადერთი საყვარელი პირმშო შვილი!

—მშვიდობით, დედა! — დაიძახა პატარა რიეგომაც და მოსწყდნენ ადგილს...

დიმიტრი ტატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავრენტი ჭიჭინაძე

შიო მღვიმელი

ახლაც თვალწინ მიდგას მშვენიერი ფაქიზი და საყვარელი მოხუცის სახე. ეს იყო ბავშვების გულის მესაიდუმლე შიო მღვიმელი როგორც ეძახოდნენ, ძია შიო.

დაბალი კაცი იყო შიო. მოხუცებულობის დროს ძალიან ნელა დაიარებოდა. ათასი ნაცნობი და მეგობარი ხვდებოდა მას ქუჩაში. სალამის გარეშე ძია შიოს, აბა, ვინ გაუშვებდა? მისალმების დროს მას ქუდის მოხდა ჩვეულებად ჰქონდა, ამიტომ ყავარჯენი მუდამ მარცხენა ხელში ეპყრა, მარჯვენა ხელით კი წარამარა ქუდს იხდიდა. მოხუცებულობას მკლავშიაც ძალა წაერთმია შიოსათვის, ამიტომ რამდენიმე წუთს უნდებოდა ქუდამდის ხელის მიტანას, ხშირად ქუდის ერთი მოხდით ორი-სამი კაციც გაუსტუმრებია.

პირველად შიო მღვიმელი ქუჩაში მიმავალი დამანახვეს. ოდნავ გახუნებული პალტო ეცვა, მიდიოდა თავისი საყვარელი ყავარჯნით. მაშინ უნივერსიტეტში ახალი შესული ვიყავი, ეს იყო 1927 წლის შემოდგომის მიწურულში. რამდენი რამ ვიცოდი მის შესახებ, მაგრამ პირადად კი არასოდეს არ მენახა. ქუჩაში მიმავალი რომ დავინახე, გავოცდი; ერთი შეხედვითვე ჩანდა, რომ იგი გაზაფხულის ჭრელი პეპელასავით უწყინარი იქნებოდა. თითქოს ახლაც ვხედავ, რა ნელა ამოვიდა იგი თავისი სახელობის ქუჩიდან და გაჰყვა წყნეთის (ახლანდელი მელიქიშვილის) ქუჩას რუსთაველის პროსპექტისაკენ. ეს საყვარელი პოეტი პირადად 1933 წელს გავიცანი, როცა ჟურნალ „პიონერი“ მდივნად დავიწყე მუშაობა. რედაქციაში შიო პირველხანად იშვიათად შემოდიოდა. ერთხელაც იყო მოვიდა. საბავშვო ჟურნალების ამ უძველესი თანამშრომლის შემოსვლამ დიდი სიხარული გამოიწვია ჩვენში. გამოვესაუბრეთ, მერე ლექსი ვთხოვეთ ჩვენი ჟურნალისათვის. გაეხარდა: „დავწერ, მაგრამ რის შესახებ? რომელი ნომრისათვის“?

არ ვიცოდი, ისე უცებ რა თემა დამესახელებინა, მაშინ 1933 წლის სექტემბერი იყო და ოქტომბრის ნომერს ვამზადებდით. მერცხალზე დაგვიწერეთქო, მივმართე მე. გაეცინა. რა თავისებური და მიმზიდველი იყო მაშინ და საერთოდ ყოველთვის მისი სიცილი! ისეთი სიცილი ჯერ სხვისათვის არ შემიმჩნევია. ნაზად ილიმებოდა იმისი ტუჩები ულვაშებსა და მოკლედ შეკრეჭილ წვერში. თვალები სავსებით დახუჭული ჰქონდა, აღარც კი იხედებოდა. სიცილის დროს ყოველთვის ასე იცოდა ხოლმე თვალების დახუჭვა. სიცილს რომ მორჩა, მერე კვლავ ღიმილით მიპასუხა:

— ჰო, ჰო, რამდენი ლექსი მაქვს დაწერილი მერცხალზე. არ ვიცი, ახლა რაღა დავწერო წრევანდელ მერცხალზე.

არ მქონდა იმედი, თუ იგი მართლა მოიტანდა ლექსს. მეორე დღესვე მოვიდა, მოგვესალმა და ახლოს ჩამოჯდა მაგიდასთან. არაფერი უთქვამს. მერე ისევ მე მოვაგონე: რა კარგი იქნებოდა, ლექსი რომ მოგეტანათ-მეთქი. კვლავ თავისებურად გაიცინა:

— დავწერე, მაგრამ არ ვიცი, მოგეწონებათ თუ არა.

გულჯიბიდან ამოიღო რვეულის ქაღალდზე ფანქრით დაწერილი ლექსი „მერცხლები“. წავიკითხე. მე აღფრთოვანებით წამოვიძახე: უჰ, რა მშვენიერია, რა კარგიათქო.

შიოს კიდევ ახალი ლექსი შევუკვეთე. მინდოდა ყოველ ნომერში დასტამბულიყო მისი ლექსები. მაგრამ ბოლო ხანებში რაღაც სისუსტეს უჩიოდა და თანხმობის მაგიერ ასე იტყოდა ხოლმე: თუ შევძელი, დავწერო. გავიდოდა რამდენიმე დღე — და ახალი ლექსი მაინც მოჰქონდა. როცა შიო მღვიმელი კარგად დამიახლოვდა, მერე შინაურ საკითხებზეც მელაპარაკებოდა. ერთხელ მშვენიერი სათუთუნე ამოიღო და მითხრა:

— ეს სათუთუნე ჩემს საღამოზე ბათუმში მომიძღვნეს ბავშვებმა.

იგი ლაპარაკობდა ამ სიტყვებს და სიყვარულით უცქეროდა იმ ძვირფას სათუთუნეს.

ჩვენი სურვილი იყო შიო მღვიმელი ყოველ ნომერში ყოფილიყო წარმოდგენილი. ამას კიდეც მივაღწიეთ. დაწერა ისეთი მშვენიერი ლექსები, როგორიცაა: „მინდვრის დამკვრელებს“, „მერცხლები“, „ზამთარი“ და სხვ.

მართალია, შიო მოხუცი მწერალი იყო, მაგრამ ჩვენი დროის ბავშვების სურვილები და განცდები მაინც ნაცნობი იყო მისთვის, ვინაიდან იგი მუდამ ამ ბავშვებთან ტრიალებდა. ამის საუცხოო მაგალითია მისი მრავალი ლექსი და აგრეთვე სულ უკანასკნელად დაწერილი: „პატარა ინჟინრები“, რომელიც 1933 წლის დეკემბერში მოიტანა ჩვენთან და გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა ჟურნალ „პიონერში“ (№ 1, 1934 წ.). ასევე სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურ. „ოქტომბრელში“.

ბევრი ბავშვი იცნობდა მღვიმელს პირადად, ბევრისათვის ლექსებიც აქვს მიძღვნილი. ამიტომ იყო, როცა შიო გარდაიცვალა, ბავშვები ძია შიოს კარგი მშობელივით სტიროდნენ. ზამთრის სუსხიანი დღე იყო შიოს რომ მივასვენებდით, მაგრამ პროცესიას მაინც დიდძალი ბავშვი მიჰყვებოდა ლამაზი ყვავილებით მორთული გვირგვინებით. დიდუბის პანთეონამდის არცერთი ბავშვი არ გამოჰკლებია პროცესიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წელი

ყველას სიამით ევსება გული,
ყველა ლხინით და ზეიმით ელის,
ოცდათვრამეტი არის წარსული,
დღეს კი გვიღიმის ახალი წელი.

ერთი შეხედეთ, ნაძვის ხე ჩვენი,—
რა საოცნებო რა ლამაზია,
კეკლუცს ბრჭყვიალა მძივები ჰშვენის,
და მისი მხერა თვალწარმტაცია.

ჩვენი ნაძვის ხის კენწეროებზე
ხუთქიმიანი ვარსკვლავი ელავს,
ყველას ღიმილი უთრთის სახეზე,
მხიარულია დღეს ყველა, ყველა.

ვერ წარმოიდგენთ, ის თუ ნაძვია,
მასზე ჰკიდია კუ, სპილო, ცხენი...
კეკლუცს ბრჭყვიალა ბაბა აცვია,
ლამაზი არის სტალინის ძღვენი.

რეზო თაბუკაშვილი

თბილისი, მ/-14 სკოლის მე 4 კლასის მოსწავლე.

აგვისრულდა კიდეც ნატვრა,
თვალი გვქონდა ციგისკენა...
და ზამთარმა თეთრი თექა
შეიბერტყა ჩვენს სალხენად.

დილით, როცა არემარე
ტანთ იცვამდა ვერცხლის ქათიბს,
გალმა გორაკს მივაშურეთ
ციგითა და ფინიათი.

სიხარულით შევუდექით
თოვლით მოსილ სოფლის შუკებს,
სპეტაკ სერს კი მოჰფენოდა
ყმაწვილების ჯარი უკვე.

შევუერთდით, მათ სიხარულს
შევუმატეთ ძალა თანაც,
ჰე, ვინ იტყვის, თუ ზამთარმა
რა სიამე მოგვიტანა.

ვიციგავეთ ყმაწვილებმა,
ვიგუნდავეთ კიდეც ერთხანს...
გვიხაროდა, რომ ზამთარმა
თექა ჩვენთვის შეიბერტყა.

პიონერი **მურმან ლეგანიძე**

ჭადრაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ებრალიძის რედაქციით

„ბოლონელი მოქალაქე"
XIII საუკუნის ლათინური ხელნაწერიდან

ეტიუდი № 1.



თეთრები იწყებენ და იგებენ

თეთრები: მფ d8; ეa8, c5 : (3)
შავები: მფ d6; ეh1; (2)

კლინგი და ჰორვიცი
1851 წელი

ეტიუდი № 2.



თეთრები იწყებენ და იგებენ

თეთრები: მფ e2; ეa1; მd8; პd2; f2 (5)
შავები: მფ d4; ლd5; პc7 (3).

ჭადრაკის ეტიუდის შესახებ

ჭადრაკის ეტიუდი ეწოდება მოჭადრაკის მიერ შედგენილ ისეთ პოზიციას, სადაც არ არის განსაზღვრული სვლათა რიცხვი, და გადამწყვეტის მიზანს უნდა შეადგენდეს მოცემული პირობის თანახმად არსებული მოგების ან ყაიმის პოვნა.

ყოველი შედგენილი პოზიცია არ შეიძლება ჩაითვალოს ეტიუდად. წესიერად შედგენილი ეტიუდი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს.

1) აუცილებელია რაიმე საინტერესო იდეის არსებობა. (ფიგურათა შეწირვა, ფათი, ორმაგი დარტყმა, ცუგცვანგი, დაბმა, შამათი და სხვ.)

2) ეტიუდი უნდა იყოს შედგენილი მეტად ეკონომიურად, ე.ი. უმოქმედო ფიგურები არ უნდა არსებობდეს; ისევე, როგორც ხელოვნების სხვა დარგებშიაც, აქაც სასურველია მცირე ძალებით მეტი შინაარსის გამოხატვა.

3) ეტიუდი მით უფრო მაღალხარისხოვნად ითვლება, რამდენადაც მეტ ბრძოლას აქვს ადგილი, სხვანაირად რომ ვთქვათ, სუსტ მხარეს უნდა ჰქონდეს გარკვეული წინაალმდეგობის გაწევის საშუალება.

4) ეტიუდი არ უნდა იყოს მეტად მოკლე და ადვილად გადასაწყვეტი.

5) ეტიუდის გადაწყვეტა უნდა იყოს მხოლოდ ერთადერთი.

ზემოთ მოყვანილი ეტიუდები წარმოადგენენ

საჭადრაკო ხელოვნების უადრეს ნიმუშებს და ამიტომ ისინი მარტივი და შედარებით ადვილი გადასაწყვეტია.

№ 1 ეტიუდში ლამაზი შეწირვის საშუალებით იცვლება ეტლები, რის შემდეგ პარტია თეთრებისათვის ადვილად მოსაგები ხდება.

№ 2 ეტიუდი გადმოსცემს ეტლისა და მხედრის ლაზიერის წინააღმდეგ საინტერესო ბრძოლას. საბოლოოდ თეთრები აღწევენ მდგომარეობას: ძეფე და პაიკი, მეფის წინააღმდეგ ადვილად მოსაგები პოზიციით.

* * *

ჩვენი ჟურნალის პიონერ მკითხველთ ვთხოვთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჭადრაკის განყოფილების შემდგომ განვითარების საქმეში.

მოგვაწოდეთ მასალები პიონერთა ტურნირების, მატჩებისა და სხვა საჭადრაკო შეხვედრების შესახებ.

გამოგზავნეთ თქვენს მიერ შედგენილი ეტიუდები, ამოცანები და გათამაშებული პარტიები.

ჩვენი ჟურნალის შემდეგი ნომრიდან ჩვენ მოვათავსებთ პიონერთა მიერ მოწოდებულ შერჩეულ მასალებს და აგრეთვე ზემოთ მოყვანილ ეტიუდთა სწორად გადამწყვეტ პიონერთა გვარებსაც.

დ. კაჱიანი

თევზ-ეკალა

ზღვებსა და მდინარეებში მკვირცხლად დაცურავენ ერთგვარი პატარა თევზები, რომელნიც თავიანთი ახირებული ბუნებით და ყოფა-ცხოვრებით საერთო ყურადღებას იპყრობენ. ისინი გარეგნობით ჩვეულებრივი თევზებისაგან მხოლოდ ზურგისა და მუცლის მიდამოებში ამოწვდილი ექვსი წვეტოვანი ეკლით განირჩევიან, რის გამო თევზ-ეკალა ეწოდათ.

ეს ეკლები მათ დიდ სამსახურს უწევს. თევზ-ეკალებს საშინლად სძაგთ ერთმანეთი, მთელ დროს ურთიერთ შორის დაუდგრომელ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლებში ატარებენ. ისინი კბენენ და ეკლიანი წვეტებით ჭრიან ერთმანეთს, დასასრულ, გაბოროტებულ ორომტრიალში ერთერთი გარბის, ან ულმობლად იღუპება მასზე ძლიერი მეტოქისაგან.

მამალ თევზებს საკვირველი ჩვეულება აქვთ, ისინი წყალში შემოხაზავენ ხოლმე გარკვეულ ფართობს და ამ არეს საკუთარ სამფლობელოდ აცხადებენ. ვაი მას, ვინც დაკარგავს გონს და მის საბრძანებელში შეიჭრება. დაუპატიჟებელი სტუმარი უმალვე ისჯება ეკლის ჩხვლეტითა და კბენით.

თევზ-ეკალა საოცრად ავი, გაუტანელი, უშიშარი და თავხედი არსებაა. მისთვის სულერთია, ვინც არ უნდა იყოს მისი მეტოქე. იგი მედგრად ხვდება მოწინააღმდეგეს და ომს უცხადებს. თვით საკმაოდ დიდი თევზი ქარიყლაპია არ ჩევს გვერდი აუაროს მოჩხუბარ თევზ-ეკალას. მისი ეკლის ბევრს ეშინია. მხოლოდ გოჯა და ვირთევზა არ უკრთიან თევზ-ეკალას. ისინი მათ ნთქავენ და მისი ეკლისაგან სრულიად უვნებლად გრძნობენ თავს.

თევზ-ეკალები უცნაური წესით მრავლდებიან. ისინი წყალმცენარეზე, ქვიშაზე და სხვ. ქათმის კვერცხის ოდენა ბუდეს იშენებენ. ასაშენებელ მასალას ბეჯითად ეზიდებიან სხვადასხვა მხრიდან და მისგან იშვიათი ხუროთმოძღვრული გემოვნებით აგებენ ჩინებულ სადგომს. ბუდეს შესავალსა და გასავალს უკეთებენ.

დედა-თევზი ქვირითს ბუდეში ყრის. მამალი თევზი ვალად იღებს დაიცვას ბუდე გარეშე მტერთა შესაძლებელი თავდასხმისაგან. ათ დღეში იჩეკებიან ციცქნა თევზუნები, რომელნიც მშობლების მხრივ დიდ ზრუნვასა და საგანგებო მეთვალყურეობას საჭიროებენ. განსაკუთრებულ სიყვარულს შვილებისადმი მამალი თევზები იჩენენ. ისინი ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ცელქად მოფუსფუსე პატარებს, ენერგიულად შველიან საკვების მოპოვებაში. რაწამს ანცი ციცქნები მონიშნულ საზღვარს დაარღვევენ და სახიფათო მიმართულებით გატოპავენ, მამა მათ მყისვე ფაქიზად იჭერს პირით და უკან აბრუნებს. მშობლები მათ მანამდის ევლებიან თავს და მზრუნველობენ, ვიდრე უკანასკნელები სავსებით არ მომწიფდებიან დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

ფასი 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაბირინთი

მხოლოდ ერთმა ჭიანჭველამ მოახერხა ლაბირინტის ცენტრამდე მიეღწია ჩხირების გადაულახავად.

როგორ მიაღწიონ დანარჩენებმა?

გამოცანა



ერთმა მებალემ საბავშვო სანატორიუმის წინ ყვავილნარი გააშენა. მან 16 ხრიზანტემა 12 პირდაპირ მწკრივად დარგა, ისე, როგორც ნაჩვენებია ნახატზე.

როდესაც სტუმარი ბავშვები ამ ყვავილნარს ათვალიერებდნენ, მათ ყურადღება მიაქციეს მებალის მიერ ოსტატურად დარგულ ხრიზანტემებს.

—აქ არაფერია საკვირველი,—სთქვა ერთ-ერთმა სტუმართაგანმა. იგივე 16 ხრიზანტემა მე შემიძლია დავრგო არა 12 მწკრივად, არამედ 15 მწკრივადაც, ამავე დროს თითოეულ მწკრივში იქნება ხრიზანტემების იგივე რაოდენობა.

როგორ დარგავდა ის ხრიზანტემებს? (მოგვწერეთ პასუხი).

ფანქრის ერთი მოსმით



ფანქრის ერთი მოსმით შეიძლება დაიხაზოს ბევრი მეტად ლამაზი ფიგურა. სცადეთ დახაზოთ აქ ნაჩვენები ფიგურა, ისე რომ ფანქარი არ მოაშოროთ ქაღალდს და არ გაატაროთ ერთდაიგივე ხაზზე ორჯერ.